

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 15 ივლისს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“, რითაც დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2008 წლის 20 თებერვალს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პარლამენტის მიერ დამტკიცებამ დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის აჭარის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორისაა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, რომელიც საჭიროებს კორექტირებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ტექსტში სიტყვა „კომიტეტი“ იცვლება სიტყვით „კომისია“, ხოლო კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში მთავრობის თავმჯდომარისათვის კანონპროექტზე ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად დადგენილი 5 დღიანი ვადა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად შეიცვალა 10 დღით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.გ) კანონპროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.